საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 00200,0 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 195

ხუთშაბათი, აპრილის 20 1922 წ.

## განცხადება

### იუბილეის გადადება

**ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე**, რომელიც დანიშნული იყო აპრილის 23-ს გადაიდვა მაისის თვეში.

დღე და რიცხვი ცალკე იქნება გამოცხადებული.

## მთლიანი ფრონტი

დიდი რუსეთის რევოლუციისა, როდესაც ომის პროცესისაგან გან დაუძლურებული მეურნეობა ჟდიდეს ფაქტორად იქცა ეკონომიური კრიზისების ხანგრძლივობისა და ერთმანეთს დაუპირისპირდა მსოფლიო მაშტაბში რევოლიუცია—რეაქცია, ორივე ძალა მთლიანი ფრონტის შექმნას ცდილობდა და სცდილობს.

კაპიტალისტური სამყარო დარწმუნდა, რომ გარეშე ფრონტის გაერთიანებისა მას მოელის სოციალური კატაკლიზმისაგან ძლევა და სრული დამარცხება. ამიტომ უკანასკნელ ხანებში მაინც, კაპიტალისტური ქვეყნები შეეცადა გამოენახა მთლიანი ფრონტის მკვიდრი დასაყრდენი. ამ მიზნით იყო მოწვეული ვაშინგტონის კონფერენცია, მაგრამ გამოაშკარავდა, რომ ერთი ენის მონახვა არც ისე ადვილი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

თავისი შინაგანი თვისებით კაპიტალისტური მეურნეობა ანტაგონისტურ ურთიერთობას ქმნის სახელმწიფოთა შორის და დღესაც კი, როდესაც გარეშე საფრთხე კარზე აკაკუნებს, არ ხერხდება ხელოვნური ქიმერით ჰარმონიული ურთიერთობის განტკიცება ერთ მომენტშიაც კი.

დღეს გენუაში თავი მოიყარა ევროპის კაპიტალის აგენტებმა, მაგრამ აქაც არ არის მთლიანი ფრონტის სურათი, რადგან ამერიკა, ეს მუმბერაზი ძალა კაპიტალისტური სამყაროსი, გენუას არ ემორჩილება, რადგან სურს თავისუფალი მოქმედების არე დაიტოვოს თავის მთავარი მიზნისათვის, რომელსაც წარმოადგენს ევროპის ამერიკანიზაცია. თვით ევროპის სახელმწიფოთა შორისაც არ არის ინტერესთა მთლიანობა, რომლის ილიუსტრაცია ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესთა სხვაობა და მათი პოზიცია გენუაში.

ასე, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ვერ შესძლო მთლიანი ფრონტის შექმნა, რაც მოსალოდნელიც იყო. მეორე მხრით რევოლიუციური მოძრაობაც არ იყო და არც დღეს არის სავსებით ჯგუფთ პირობებში.

ერთი მთლიანი რევოლიუციური ფრონტი ირღვეოდა სამი ინტერნაციონალის გამო. მეორე ინტერნაციონალმა და ეგ. წოდ. ორი ნახევარი ინტერნაციონალის მესვეურებმა უდიდესი როლი შეასრულა რევოლიუციურ მოძრაობის შეფერხების საქმეში. სამად გაპობილ მუშათა კლასი, ვერ შესძლებდა ჯერ კიდევ მაგარი ხერხემალის მქონე კაპიტალიზმის დაცემას და ასედაც ხდებოდა და ხდება.

მაგრამ თუ მთლიანი ფრონტის შექმნის პერსპექტივა არ იხარება კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ, დღეს ასეთი პერსპექტივის წინაშე ვდგევართ მუშათა ფრონტის მთლიანობის საქმეში.

სამი ინტერნაციონალის კონფერენციამ, რომელიც ამ ახლო წარსულში მოხდა ბერლინში, დაადგინა აპრილის სამისთვის, დღეისათვის, საერთაშორისო მუშათა დემონსტრაციის მოწყობა, რომელის მთავარი ლოზუნგები არის საბჭოთა რუსეთის ცნობა, 8 საათის სამუშაო დღე, კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა და სხ.

ეს ფაქტი, რომელსაც ადგილი ექნება დღეს მსოფლიო მაშტაბში, უდიდესი პოლიტიკური ღირებულების ფაქტია, არა მარტო მით, რომ მას გავლენა ექნება რუსეთის ცნობისათვის, არამედ კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია, როგორც დასაწყისი მუშათა ფრონტის მთლიანობისა.

მართალია ჯერ კიდევ შორს არის ფუოსა და ვანდერველდეს, კაუცკისა და მათი თანამოაზრეების პოზიცია რევოლიუციური მოძრაობის მესვეურობამდე და კაპიტალიზმის წინააღმდეგ აქტიურად გამოსვლამდე, მაგრამ ისიც, ფაქტია, რომ მეორე ინტერნაციონალის გავლენა თანდათან სუსტდება თუ კი იგი არ დაადგება აქტიური ბრძოლის გზას.

ეს პირველი შეთანხმება, უნდა გამოვტყდეთ, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთვის. ეს მოულოდნელი იყო თვით მესამე ინტერნაციონალისათვის, რომელიც მიდიოდა იქ არა კომპრომისებისათვის, არამედ ბრძოლისათვის, სადაც შესაძლებელი გახდებოდა პირდაპირ შეხვედრა რევოლიუციის დეზერტირებისა და მათი მოღალატური საქმეების გამოაშკარავება ევროპის მუშათა ფართო მასის თვალში. მაგრამ ვიცით მოხდა შეთანხმება, რომელიც დიდ მნიშვნელოვანია მუშათა ფრონტის გაერთიანებისათვის.

დღეს მსოფლიო მუშათა კლასი გამოვა, ქუჩაში დაანახვებს თავის ძალას მოწინააღმდეგეთ, ეს პირველი შეერთებული გამოსვლა იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს რევოლიუციური ტენდენციის ფართოდ გაჩაღებას და პაცი ფისტური სულისკვეთების აღმოფხვრას.

**როგორც ვხედავთ ერთი მხრით კაპიტალისტური ქვეყნები კვლავ ანტაგონისტურ ურთიერთობაშია ერთმანეთ შორის, მეორე მხრით იწყება მუშათა ფრონტის მთლიანობა.**

ეს მოვლენა დიდი გაკვეთილია ყველა მათთვის, ვინც კიდევ დარწმუნებულია კაპიტალისტური სამყაროს ძლიერებაში და რეაქციული ძალის გამარჯვებაში.

**ფრონტის მთლიანობა**, აი მოკლეთ ფილოსოფია იმ პოლიტიკურ მოვლენათა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის ამბარტიებასა და გეზს განსაზღვრავს. პოლიტიკოსისათვის საფრთხილო არ არის თუ როგორი ეკონომიური პირობებია შექმნილი ამა თუ იმ მომენტში, როგორი სტრატეგიაა დაჭერილი არმიის მიერ, არამედ უმთავრესია ის პროცესი, რომელიც ძალთა ერთიანობის გარანტიას იძლევა.

თუ შესძლო კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ძალთა გაერთიანება, მთლიანის ფრონტის შექმნა—რევოლიუცია დამარცხებულია, პირიქით თუ შესძლო მუშათა კლასმა ძალთა გაერთიანება, მთლიან ფრონტის შექმნა — რეაქცია დამარცხებულია.

როგორც ვხედავთ, პირველი ძალა დღესაც დაქსაქსულია, მეორე ძალა შეთანხმების პროცესშია. პირველი შეთანხმება მიღწეულია. ამიტომ თვით პერსპექტივა გამარჯვებისა მეორე ძალისაკენ არის.

დღევანდელი მთლიანი ფრონტით გამოსვლა მუშათა კლასისა, ემბლემაა ამავე მუშათა კლასის მთლიანობის განმტკიცებისა, ხოლო ეს უკანასკნელი უტყუარი საწინდარია კაპიტალიზმის სასიკვდილო აგონიისა.

მთლიანი მუშათა ფრონტი დღეს თავის პირველ სიტყვას იტყვის, ხოლო მისი უკანასკნელი სიტყვა იქნება ჩაგრულ ერთა და მშრომელთა განთავისუფლების დღესასწაული, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი სასიკვდილოდ დაიჭრება და ბოლო მოეღება მის მიერ წარმოშობილ მილიტარულსა და მარინისტულ პოლიტიკას, რომელიც კაცობრიობას ფატალურად მიაქანებს დიდი მსოფლიო კომპლიქტებისაკენ, რასაც შედეგად მოყვება გაჩანაგება მეურნეობისა და დამონება მშრომელთა და პატარა ერთა.

ამდენათვე დღევანდელი დღის მნიშვნელობა დიდია საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. დღეს ყოველი სოციალისტისა და რევოლიუციონერის მტკიცე რწმენა უერთდება მთლიანი მუშათა ფრონტის იდეას, რომელიც მოწოდებულია დიდი, ისტორიული მისიისათვის.

როგორი პირობები იქნება საქართველოში შინაური ამშვენიერობისა და სოციალისტთა ურთიერთობისათვის.

**ხერ. ამაღლობელი.**

## გენუას კონფერენციის გარშემო

**საბჭოთა დელეგაციის პრეს ბიუროს განმარტება.**

**მოსკოვი, 14 აპრილი.** გენუას კონფერენციის ინფორმაციის შესახებ, დეპეშების დაგვიანების გამო გენუაში მყოფ საბჭოთა დელეგაციის პრეს-ბიურომ ყველა ქვეყნებში შემდეგი შინაარსის დეპეშები დაუგზავნა: „რუსეთის რადიო სადგურები, გენუას კონფერენციის ყველა ცნობებს ღებულობენ უცხოეთის აგენტებიდან. ამ აგენტთა რადიო და პეპეშები ანტანტას ყველა წარმომადგენელთა სიტყვები თითქმის სავსებით არის. მოყვანილი და რუსეთის დელეგაციის გამოსვლებზე კი მდუმარებით არიან. რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს დეპეშები რამოდენიმე დღით ეგვიანებიან, რადგან სატელეგრაფო ხაზები დასავლეთის მთავრობების განკარგულებაშია, რომელნიც ჯერ ელემენტარულ ლოიალობასაც არ იჩენენ რუსეთის დელეგაციის და რუსეთის პრესის დასახმარებლად. რუსეთის სააგენტოს დეპეშა გენუის კონფერენციის შესახებ მიღებული იყო მოსკოვში მხოლოდ 11 აპრილის საღამოს, ჩიჩერინის სიტყვა კი—13 აპრილს. მოსკოვის მთავრობა და საზოგადოებრივი წრეები ერთად სამართლიანად ხედავენ ამაში შეგნებულ მისწრაფებას შემცირონ ევროპის საზოგადოებრივ აზროვნების თვალში რუსეთის დელეგაციის გამოსვლების მნიშვნელობა. ამასში აგრეთვე ხედავენ განზრახვას დააბრკოლონ რუსეთის დელეგაციის მუშაობა და ცნობების გადმოცემა რუსეთში.

**ხანტა—მ რგარიტა. 12 აპრილი (მოსკოვიდან)**

**ბარტუს სიტყვა**

საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენლის ბარტუს სიტყვა უფერული იყო და სიტყვა შესდგებოდა მხოლოდ საერთო ფრაზებიდან, როგორც მაგალითად, რომ საფრანგეთი მზადაა ყველასთან მეგობრულად იმუშაოს.

**ვირტის სიტყვა**

გერმანიის კანცლერი ვირტი თავის სიტყვაში საყვედურობდა გერმანიის მძიმე მდგომარეობაზე. მისმა გრძელმა სიტყვამ კონფერენციის წევრნი მეტად დაღალა.

**ჩიჩერინის დეკლარაცია**

კონფერენციის ყურადღება მსწრაფლ გაიზარდა, როდესაც სიტყვა ჩიჩერინს მისცეს. ჩიჩერინის დეკლარაციამ, რომელიც ფრანგულ ენაზე იქმნა გამოქვეყნებული, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით, იმ ადგილებმა იქონიეს დიდი შთაბეჭდილება, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთის მეურნეობის აღდგენის გარეშე შეუძლებელია ევროპის აღდგენა. ჩიჩერინის დეკლარაცია წინ დადებას იძლეოდა დაესვათ განსახილველად საკითხი საერთო განიარაღების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ლოიდ ჯორჯის გამოთქმულ აზრთან, რომ ევროპისთვის საჭიროა ზავი. ჩიჩერინმა აღნიშნა პერიოდულ ხალხთა საერთო კონგრესის მოწვევის აუცილებლობა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ხალხთა ორგანიზაციის წარმომადგენელნი და აგრეთვე იმ ერების წარმომადგენელნიც, რომელნიც კონფერენციას არ დასწრებიან.

**ბარტუს პასუხი**

სასტიკი წინააღმდეგობით საბჭოთა დელეგაციის პოზიციის მიმართ გამოვიდა ბარტუ, რომელმაც პროტესტი განაცხადა ყოველგვარ საერთო კონგრესის მოწვევის და ხელშეკრულებების გადასინჯვის შესახებ. განსაკუთრებით ცხარედ უარყო ბარტუმ საერთო განიარაღების საკითხის წამოყენება. ბარტუ იმუქრებოდა. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ამრიგად იქნება დაყენებული საფრანგეთის დელეგაცია კონფერენციას დასტოვებსო.

**ჩიჩერინის პასუხი**

ხელმეორედ გამოვიდა ჩიჩერინი და დაამტკიცა, რომ ევროპა ზავისთვის საჭიროებს საშუალება არაა, გარდა საერთო განიარაღებისა. „წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადა ჩიჩერინმა, სარწმუნო დღევანდელმა კონფერენციამ იქონიოს რაიმე პრაქტიკული შედეგები ევროპისთვის“.

**ლოიდ ჯორჯის გამოსვლა**

ამის შემდეგ გამოვიდა ლოიდ ჯორჯი და რომ ეს მწვავე საკითხი გადადებინა როგორმე, ნახევრად ხუმრის კილოთი დაიწყო მტკიცება, რომ საკითხის ასე დაყენებას შეუძლია კონფერენციაზე გამოიწვიოს განხეთქილება.

**ანეკდოტის გათ ვება**

როდესაც ბარტუ ცდილობდა დაეცვა თავისი პოზიცია, თავმჯდომარემ ფაქტიურად გააწყვეტინა სიტყვა ბარტუს და შენიშნა, რომ თუ მან ჩიჩერინის სიტყვაზე უარი უთხრა, მასაც ლაპარაკის ნება არ დართავს.

**ჩიჩერინის სიტყვა**

**რაპალო, 13 აპრილი (მოსკოვიდან).** ჩიჩერინის სიტყვა, რომელიც კონფერენციაზე იყო წარმოთქმული, შემოკლებით—ამგვარია: „რუსეთის დელეგაცია, სთქვა ჩიჩერინმა, მოვიდა იქ ზავისა და საერთო მეურნეობის აღდგენის ინტერესებით მას. აუცილებლად მიაჩნია ეკონომიური თანამშრომლობა სახელმწიფოთა შორის. რუსეთის დელეგაცია ჩამოვიდა აქ არა თავის აზრთა საპროპაგანდოთ არამედ საქმიანი ურთიერთობისთვის.—რუსეთის ეკონომიური აღორძინება—აუცილებელი პირობაა საერთო აღდგენისათვის. რუსეთი ამ უკანასკნელ ამოცანას ყოველ მხრით შეუწყობს ხელს. იგი ღებულობს და სცნობს კანის რეზოლიუციების პრინციპებს, იტოვებს მხოლოდ დამატებებისა და შესწორებების უფლებებს. რუსეთის მთავრობის ახალი ლონისძიებანი იძლევა გარანტიას სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობისას. მსოფლიო მეურნეობის აღდგენა მიუღწეველია, ვიდრე თავს დაგვტრიალებს ახალი ომის მუქარა. რუსეთის დელეგაციას სურს წინადადება შემოიტანოს ძალების შეიარაღების საერთოდ შემცირების შესახებ. რუსეთი მზადაა შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალა იმ პირობებით, თუ სამაგიეროთ მას მიეცემა გარანტიები, რომ უზრუნველყოფილი იქნება თავისუფლებასა და ინტერვენციებისაგან. რუსეთის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია ყველა ხალხთა კონგრესის მოწვევა მუშათა ორგანიზაციების მიერ წილობრივ მიღებით. საერთაშორისო კონგრესი, გამოყოფს კომისიას მოსადგენ პროგრამის გამოსამუშავებლად, როგორც კომუნისტები, ჩვენ არა გვაქვს ილიუზიები ომის და ეკონომიურ კრიზისის მიზეზთა თავიდან აცილების, მაგრამ ჩვენ მზადა ვართ მხარი დავუჭიროთ ყოველგვარ ცდას, რომელიც მიმართული იქნება თუ გინდ მსოფლიო მეურნეობის დროებითი გაუმჯობესებისა და ახალ ომის შესაძლებლობის შეზღუდვისკენ.

**პრესა—ჩიჩერინის დეკლარაციის შესახებ.**

**ვარშავა, 12 აპრილი. (მოსკოვიდან).** გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ენტუზიაზმით აღნიშნავს ჩიჩერინის სიტყვას და ზომიერად სთვლის მას, რომელიც შეიცავს არსებითად სამართლიან სატიკს გალამქრებას. გაზეთი ამბობს, რომ საფრანგეთი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და რუსეთის დელეგაციასამი უნდა სიმართლე ვაღიაროთ, რომ მან შესძლო „საფრანგეთის ხარის რქაზე ხელის წავლება“ გაზეთი „კურიერ პორანნი“ სწერს: „ჩიჩერინის დეკლარაციამ განიარაღების შესახებ ყუმბარის გახეთქის შთაბეჭდილება გამოიწვია. გამწვავებული ატმოსფერა გასწმინდა ლოიდ ჯორჯმა. ამიტომ ბარტუს მეორე სიტყვა, შეწყვეტილი თავმჯდომარის მიერ, დარბაზმა უნდობლად მიიღო“...

**ბერლინი, 12 აპრილი.** გერმანიის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ჩიჩერინის გამოსვლას განიარაღების საკითხის დასმის შესახებ. ამ გამოსვლამ საფრანგეთზე მორალური იზოლაცია მოახდინა. აღნიშნავს რა ამას, ამ რაკის პრესის თავმჯდომარე საბტიკად ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ.

**პრესა ბარტუს და ჩიჩერინის პოლემიკის შესახებ.**

ვარშავა. გერმანიის პრესა უკეთებს რა ცხარე კომენტარიებს ბარტუს და ჩიჩერინის პოლემიკას დაასკვნის—საფრანგეთის სრულ იზოლაციას.

**ბერლინი. 11 აპრილი.** „ბერლინერ ცაიტუნგ“-ი წერილში „ბარტუს დამარცხება“ აღნიშნავს იმ დისონანსს, რომელიც შეტანილ იქმნა საფრანგეთის დელეგატის გამოსვლით. საფრანგეთის იზოლაცია გენუაში ჩიჩერინის მშვენიერ სიტყვის შემდეგ, უფრო ნათლად გამოაშკარავდა, ვიდრე ეს იყო ვაშინგტონში.

**ვარშავა. 18 აპრილი.** „კურიერ დე პოლონ“ აღნიშნავს, რომ ბარტუმ, ჩიჩერინის სიტყვის გამოკამათების შემდეგ მოკავშირეებიდან გადაწყვეტილი სიტყვა ვერ მიიღო. ლოიდ ჯორჯი და ფაქტა ყოველმხრივ ცდილობდნენ სწორე საკითხებისთვის თავი აეცილებინათ, ალიაქოთის ატმოსფერა და ექვიანობა გადაეფარა გენუას, იტალიის გაზეთები ხაზ გასმით აღნიშნავენ ჩიჩერინის სიტყვის ტონის ზომიერებას, რომელიც წარმოთქმული იყო ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

**გაზეთი „ტაიმსი“ ბოლშევიკების პოზიციის შესახებ.**

**მოსკოვი 17 აპრილი.** გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება: „დღევანდლამდის მთელი უპირატესობა კონფერენციაზე ბოლშევიკების მხარეზეა. მათ ერთი შეცდომაც არ ჩაუდენიათ და შეუდარებელი დაქნილობით მოქმედებენ. შეიძლება თუ არა კიდევ დავეჭვდეთ ეჭვი მათ იურიდიულ ლეგ ცნობის შესახებ; მათ მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ ეს საკითხი დააყენა ყოველივე ეჭვების გარეშე. მათ აძლევს ევროპის დელეგატები მოექცნენ მათ ისევე, როგორც თანასწორებს. ბოლშევიკები ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ ეს გარემოება შეიძლებას აძლევს მათ გავლენა მოახდინონ კონფერენციის მუშაობის მთელ მსვლელობაზე. თუ მათი ტაქტიკა ისევე ბრძნული და მიზანშეწონილი იქნება, როგორათაც ძლიერია მათი პოზიცია, მაშინ ისინი სავსებით უზრუნველყოფენ თავის გამარჯვებას თუ საფრანგეთი არ დაიცავს მეტ სიფრთხილესა და სიფხიზლეს, იგი შესაძლებელია დარჩეს სავსებით იზოლაციაში, რომლის აჩრდილიც არა ერთხელ აღმართა პირველი ორი დღის განმავლობაში.

**განხეთქილება მცირე ანტანტაში.**

**მოსკოვი. 17 აპრილი.** კორესპონდენტები იუწყებიან, რომ მცირე ანტანტის წევრებში მოხდა განხეთქილება. ჩეხოსლოვაკიისა და სერბიის დელეგატები რუსეთის საკითხში შემარიგებელი პოზიციის მომხრენი არიან.

**საფრანგეთის დამარცხება.**

**ლონდონი, 11 აპრილი (მოსკოვით)** წინასწარი კამათის დროს ცალკე ქვეკომისიების დაარსების საკითხის შესახებ გამოაშკარავდა დიდი უთანხმოება. ინგლისელები და იტალიელები წინადადებას იძლეოდნენ შეედგინათ ქვეკომისია კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების ხუთ წარმომადგენლებისაგან და რუსეთის და გერმანიის ორი წარმომადგენლისაგან საფრანგეთი და ბელგია ამის წინააღმდეგი იყვნენ მაშინ. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: „ასეთ შემთხვევაში უკეთესია სულ არ გვქონდეს კონფერენცია, რადგან ჩვენ განზრახვა გვაქვს გამოვრიცხოთ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთაც სურთ დაუბრუნდნენ ევროპის ხალხთა ოჯახს“.

ინგლისისა და იტალიის გამარჯვება ამ საკითხში მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მთელი საფრანგეთის პრესა აცხადებდა, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დასთანხმდება, რათა რუსეთი და გერმანია სარგებლობდნენ კონფერენციაზე მეტი უფლებებით, ვინემ პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია.

## ახალი ამბები

— **ტრამვაის ტარიფის გადიდება.** ტფილისის ქალ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით გადიდე

ბულის ტრამვაის ტარიფი 5000 მანეთიანი ბილეთი ღირდება 10,000 მან. 10000 მან.—15000 მან.

— **საქმეთა საბჭოის მმართველობა** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დადგენილების თანახმად ტფ. ქალ. აღმასკომის წევრი პრეზიდიუმმა დაადგინა: მოახდინოს სრული რეორგანიზაცია საბჭოთა სახლების მმართველობისა.

— **ბოტანიკურ ბაღში.** ტფილისის ბოტანიკურ ბაღში გაკეთებულია სანერგე ხეხილის და სხვა ხორბლეულისა, თესლები მოტანილია საქართველოს ყოველ კუთხიდან.

— **სახაზინო ტანსაცმლის დაკარგვა.** საქართველოს წითელ არმიის სანივთო ნაწილიდან დაიკარგა სახაზინო ტანსაცმელი 150 მილიონ მანეთისა. გამოძიების შემდეგ ქურდები აღმოჩნდნენ ვინმე მაკარენკო და აფაქოვი. მაკარენკო მიიმალა ხოლო აფაქოვი შეიპყრეს და თავის დანაშაულობაში გამოტყდა.

— **ბათომის ნავთსადგურში.** 13 აპრილს ბათომის ნავთსადგურში ჩამოვიდა გემი; საფრანგეთის—„სუსია" 354 ტონი ტვირთით და 12 მგზავრით. ამავე დღეს ნავთსადგურიდან გავიდა გემი: ინგლისის—„შეფერფილდი" და იტალიის—„უმბრია".

— **სოხუმის ნავთსადგური.** 5 აპრილს სოხუმის ნავთსადგურში იდგა გემი: ოთხი ოსმალეთის, საბჭოთა—14, იაპონიის—1.

## სამხატვრო ქრონიკა

— **სათეატრო მუზეუმი.** მსახიობმა შალვა დადიანმა, ხელოვნების მთავარ კომიტეტს და განათლების კომისარს წარუდგინა პროექტი—სათეატრო მუზეუმის და წიგნთსაცავის დაარსების შესახებ. მუზეუმში მოთავსებული იქნება ის სათეატრო მასალა ნივთები და განძეულებანი, რომელიც კი არსებობს ქალაქ ტფილისში. პროექტში აღნიშნულია ბინის საჭიროება და გათვალისწინებულია ერთდროული და მიმდინარე თანხის რაოდენობა.

— **წარმოდგენები ხელოვნებათა და განათლების მუშაკთა უმუშევართა სასარგებლოდ.** 22—23 აპრილს ტფილისში ყველა თეატრებში გაიმართება წარმოდგენა-საღამოები ხელოვნების და განათლების მუშაკთა უმუშევართა სასარგებლოდ.

— **დღეს—თეატრებში.** რუსთაველის თეატრი—ქართული დრამა „არსენ ჯორჯიაშვილი" სახელმწ. ოპერა—„ბოჰემა"; მცირე თეატრი—რუსული წარმოდგენა, რევოლიუციონური თეატრი „ახალი ადამიანი".

— **ზ. ჭიჭინაძის იუბილეს გადადება.** ზ. ჭიჭინაძის იუბილე, რომელიც დანიშნული იყო აპრილის 23-ს გადაიდება მაისის თვეში. დღე და რიცხვი ცალკე იქნება გამოცხადებული.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 7.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ დროებითი ხარკის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველგვარი საქონელი, რომელიც შემოტანილ იქნება საზღვარ-გარეთიდან საქართველოში ან საქართველოდან გატანილი,—ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, დაიბეგროს დამატებითი ხარკით თანახმად ამ დადგენილებასთან დართული ნუსხისა.

**შენიშვნა.** ამ დადგენილების პირველ (I) მუხლში აღნიშნულ დამატებითი ხარკისაგან განთავისუფლდება დამშეულთა დამხმარე საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

2. საზღვარ-გარეთ მიმავალ თვითეულ პირს გადახდეს, არსებული გადასახადის გარდა, ასი ათასი (100,000) მანეთი დამატებით.

3. დაიბეგროს ბანკების მიერ წარმოებული ყველა საკრედიტო ოპერაციები 6 პროც. წლიურად, ხოლო ფულის გადაგზავნის ოპერაციები- 10 მანეთით თვითეულ 1000 მანეთზე.

4. დაწესებულ იქნეს გადასახადი 10 პროცენტის რაოდენობისა ღვინის აქციზის თანხიდან.

5. დაიბეგროს შამპანიური და პორტვეინი 25.000 მან. რაოდენობით, ბოთლზე სპეციალური მარკების საშუალებით.

6. დაიბეგროს თამბაქოს ნაკეთობა მისი ღირებულების 1 პროც. გადასახადით.

7. შემოღებულ იქნეს სპეციალური საფოსტო მარკები შემდეგი ღირსებისა:

ა) უბრალო ბარათებისათვის—1000 მან.

ბ) დაზღვეულისათვის 3000 მან. ყოველგვარი ამანათებისათვის 5000 მან. თითო დეპეშისათვის 10,000 მან.

8. ფულის გადაგზავნისათვის ერთი მილიონი მანეთის ზევით გადახდეს გამგზავნელს გადასაგზავნი თანხის 1 პროც.

9. ყოველი აქტი, რომელიც შესრულებულ იქნება სახალხო ნოტარიუსთან, და აგრეთვე მის მიერ შემოწმებული დოკუმენტი, დაიბეგროს დამატებით არსებული საღერბო გადასახადის 10 პროც.-ით.

10. დაევალოს რესპუბლიკის ყველა ხაზინას გახსნას დეპოზიტი დამშეულთა დამხმარე ადგილობრივ კომიტეტებს.

11. დაევალოს ყველა დაწესებულებას, რომელიც ამ დადგენილების თანახმად კუთვნილებისამებრ აწარმოებს დამშეულთა სასარგებლოთ ფულის აკრეფას, დაუყოვნებლივ შეიტანოს აკრეფილი თანხა ადგილობრივ ხაზინაში დამშეულთა დამხმარე ადგილობრივი კომიტეტის დეპოზიტად, ხოლო ცნობები თვითეული კვირის განმავლობაში შეტანილი თანხის შესახებ წარუდგინოს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

12. მთელი შეკრებილი თანხა გადაცემულ იქნეს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის განკარგულებაში.

13. ამ დადგენილების განხორციელებისათვის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო ინსტრუქციები.

14. დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარაძე.**

1922 წ. აპრილის 9.
ტფილისი—სასახლე.

—

### ნ უ ს ხ ა

საზღვარ გარეთიდან საქართველოში შემოტანილ და საქართველოდან გასატან საქონლისა, რომელიც უნდა დაიბეგროს დამატებითი ხარკით საქართველოს დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ყოველგვარი საქონელი, რომელიც შემოტანილ იქნება საქართველოში საზღვარ გარეთიდან ან საქართველოდან გატანილი დაიბეგროს შემდეგი რაოდენობისა ოქროს ვალიუტით:

1. ჯგუფი—1/4 კაპ. ფუთი—ბრუტო, სატარიფო მუხლები: 1, 2, 3, 4, 22, 23, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 51, 65, 66, 69, 70, 72, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 138. ამ ჯგუფში შედის: სურსათ-სანოვაგე, მინერალური სამკურნალო წყლები მარილი, თიხასა და ქვის მასალა, ცემენტი, ქანსელი (ასბესტი), თაბაშირი (გიპსი), მინქუა (პემზა) და სხვა ნახშირის ნაწარმოები, მცენარისა და მინერალური საღებავი, ფისი და მისი პროდუქტი, სკიპიდარი, სამყე (კაუჩუკი) ნედლად, ლითონისა და მინერალური მადანი და ნავთის ზოგიერთი პროდუქტი.

**შენიშვნა** 1: ნავთის პროდუქტებიდან (მუხ. 85) დაიბეგროს 1/4 კაპ. ბენზინი და ყოველგვარი მინერალური ზეთი;
2: კეროსინი (მუხ. 85) არ დაიბეგრება:
3: ზაფი-ქვა (მუხ. 138) არ დაიბეგრება.

2. ჯგუფი—1 კ. პ. ფუთი ბრუტო; სატარიფო მუხლები: 25, 26, 74, 75, 85, 179, ამ ჯგუფში შედის: საფუარი, სეია და მისი ნანარი (ექსტრაქტი) თიხის ნაწარმოები და სხვა და სხვა ქაშანურის (ფაიანსის) ჭურჭელი, ნავთი და მისი პროდუქტი, გარდა ბენზინისა, მინერალური ზეთისა და კეროსინისა და სართავი მასალა.

3. ჯგუფი—2 კ. პ. ფუთი ბრუტო; სატარიფო მუხლები: 5, 6, 7, 9, 10, 11, 52, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 114, 115, 116, 117, 118, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 173, 174, 175, 190, 191. ამ ჯგუფში შედის მოსტნეულობა და ხილი, ცვილი (წმინდა სანთელი), ხე-ტყის მასალა და მისი პროდუქტი, ქიმიური მასალა, ლითონი, ავტომობილი, ეკიპაჟი, ვაგონი, პლატფორმა, გემი, ნავი, ბაგირი (კანატი) თოკი, ბადე და ტომრები.

4. ჯგუფი—3 კაპ. ფუთი-ბრუტო; სატარიფო მუხლები: 27, 28, 29, 31, 53, 76, 77, 78, 88, 134, 135, 136, 137, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 176, 177, 180, 181, 182, $215^{2-3}$, 216, 217, 218. ამ ჯგუფში შედის, მადარი სასმელები, ღვინო, ძმარი, ლუდი სანთელი, ფაიფურისა, ლითონისა, მინისა და საყის (კაუჩუკი) ნაკეთობა. სალებავი მასალა, ხელის ინსტრუმენტი, მანქანა, ყოველგვარი აპარატი, საწერი, ტყავის მანქანა და მისი მოწყობილობა აბრეშუმის პარკი, ნედლი აბრეშუმი და სხვ. მატყლი, ბამბა, ბეწვის სათამაშოები, საგალანტერეო საქონელი. საკანცელარიო ნივთები, კოლექციისა და მუზეუმისათვის სხვა და სხვა ნაწარმოების ნიმუშები, საწერი ქაღალდი და ქაღალდის დასამზადებელი მასალა.

5. ჯგუფი—4 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, $21^{1}$, $120^{2}$, 183, 184. ამ ჯგუფში, შედის: კონსერვები სოკო, ლოკოკინა, ყავა, კაკაო, ჩაი, თამბაქო ფხვნილად, სარეცხი საპონი, ბამბისა, სელისა და სხვა ძაფისებური სართავი მასალა.

6 ჯგუფი—5 კაპ. ფუთი—ბრუტო; სატარიფო მუხლები: $21^{2,3}$, 45, 46 47 48, 49, 50 54, 55, 56, $^{2}$—$^{3}$—$^{4}$ და $^{5}$, 57, 112, 113, 157, 157, 158, 159, 170, 171, 172, 186, 187, 188, 189, 192, 193, 194, 198, 199, 200, 201, 202, 205, (ნაქსოვი მატყლის, ბამბისა და სხვა უბრალო მასალის გარდა) 209, 210 211, 212. ამ ჯგუფში შედის: თამბაქოს პროდუქტი, თამბაქო, ბუმბული ფრინველისა და მისი ნაწარმოები, ლენტი, ტყავი დამზადებული და დაუმზადებელი, ბეწვეული (მეხა) ფურალო, ტყავის ნაკეთობა, ოპტიური ხელსაწყო, საათი, და მისი ნაწილები ფარმაცევტული ნაკეთობა და დამზადებული წამალი, ნემსი, დანა-ჩანგალი, სამუსიკო ინსტრუმენტი, მატყლის ნართი, ბამბისა შალისა და ტილოს ნაქსოვი, ტანსაცმელი, ქუდი, ქოლგა და ფოლაქი.

7. ჯგუფი—10 კაპ. ფუთი—ბრუტო, სატარიფო მუხლები: 24, $56^{1}$, 185, 203; 204, 206, 207, 208, 213, 214, 215. ამ ჯგუფში შედის: ტკბილეულობა, ძვირფასი სუნელეული, აბრეშუმის ნართი, ხალიჩა, ფესკა, ფუალი, ბასთა (კრუჟევი), ნაქარგი, ბუმბული, ფრთა, ძვირფასი ხელოვნური ყვავილები, მინის მარგალიტი და ძვირფასი სასამკაულო ნივთები.

8. ჯგუფი—20 კაპ. ფუთი ბრუტო' სატარიფო მუხლები: 119 $^{1-3}$, 148, $^{4}$, $^{5}$, $^{6}$, $^{7}$, (აირვანქა ბრუტო), 195, 196, 197, 205 (აბრეშუმის ნაკეთობა). ამ ჯგუფში შედის აბრეშუმის ნაკეთობა, პარფიუმერია, ოქროთი და ვერცხლით ნაკერი.

9. ჯგუფი—2 მან. ფუთი-ბრუტო: სატარიფო მუხლები: $119^{2}$ (სურნელოვანი წყლები).

10 ჯგუფი—3 მან. ფუთი—ბრუტო: სატარიფო მუხლები. 68. ამ ჯგუფში შედის: სადაფი, ქარვა და სხვ.

11. ჯგუფი 5 მან. გირვანქა ბრუტო: სატ რიფო მუხლები: 67, 148, $^{1-2}$, ამ ჯგუფში შედის: ძვირფასი და ხელოვნური ქვა და ოქროს ნაკეთობა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარაძე.**

## „ფარული საზოგადოების" მოქმედნი პირები: ფილად. კიკნაძე

(შემდეგი).

ამიტომ ადვილად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რასაც კიკნაძე სიტყვებს ამბობდა საჯაროდ, ყველა იგინიც თვით მისი შედგენილები იყო და არა სხვა ვინმე პირისაგან. ამიტომ ახლა მოვიყვანთ აქ ამის სიტყვების ნიმუშებსაც, რომელ ნიმუშებიც დაწერილი ჰქონდა ნიკ ჯაპიაშვილს, რომელიც სცხოვრობდა ქვაბთა-ხევის მონასტერში ბერად. მე იქიდამ გადმოვწერე იქვე ხსენებულს მონასტერში 1884 წელს, დიდანი დარჩა დამწერის ძველი წიგნების საკითხველოში. ეს ქადაგება ფილ. კიკნაძეს მივცას ალავერდის ეკლესიაში. აი ესეც ნიმუში ამ ქადაგების:

***

ქართველებო, უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს ოსმალო სპარსელები სულ რუსების მეოხებით გვმტრობდნენ, იმათ ჩვენს სამტროდ და დასაღუპავად ყოველთვის რუსები რაზმავდნენ და აქეზებდნენ როცა აღა მაჰმად-ხანი შემოვიდა ტფილისში, მეფე ერეკლეს წინადადებით 1795 წ. მაშინ, მას რუსის ზ რბაზნები მოჰყვა თ ნ საქართველოს ასაკლებად

რუსები ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რადგანაც ოსმალ სპარსნი რომ ქართველებს მაგრად შეაწუხებენ, მის მერე ქართველებს გაუჭირდებათ დიდად და ამიტომ ჩვენ შემოგვიერთდებიანო, რადგანაც ჩვენ ქრისტიანებიც ვართ და ქართველებიც ქრისტიანები არიანო.

ჩვენი ათხრების და აწიოკების მიზეზები სულ ამ ბოროტებაში იფარება ყველთვის ოსმალეებს და სპარსელებს რუსები აქეზებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამას ბევრი სამხედრო ფაქტებიც გვიმტკიცებს.

რაკი ეს წადილი რუსებს მალე ვერ შესრულდებოდა, მეფე ერეკლე ვერ დაიყოლიეს და საქართველო ვერ ჩაიგდეს ხელში, მერე, აწ მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, მათ შეისყიდეს გარსევან ჭავჭავაძე და მასი ამხანაგები და ამათის დახმარებით და მეფე გიორგის მოტყუილებით შემოვიდნენ საქართველოში ამ გვარად, რუსებმა საქართველო ჩაიგდეს ხელში მეფე გიორგის მოტყუილებით.

დღეს, რუსეთი სპობს საქართველოს და ქართველ ერსაც არუსებს, ჩვენ, ქართველები რაც დღეს ვართ შემდეგ დროში, რუსებისაგან აღარც ეს ვიქნებით. ჯერეთ დღეს, როცა რუსებს საქართველოში ფეხი არა აქვსთ გამაგრებული და ჩვენ კი ასე გვიხრჩობენ საქმეს და გვსპობენ, შემდეგ დროს, როცა იგინი საქართველოში ფეხს გაიმაგრებენ მაშინ თქვენი მტერი, რას უზამენ იგინი მთელ მთელ ქართველობას—საქართველოს.

ქართველებო, თუ კი ხართ საღმე, გონებას მიადით, თვალები გაახილეთ, ამიდგენან ამ ძალათ მოსულ სტუმრების შესახებ და საქართველოს უბედური, თორემ მერე, ამათი გ ძევება ძნელი იქნება, რადგანაც მაშინ იგინი ფეხს გაიმაგრებენ და ჩვენ შვილის შვილებსაც დიდათ გაუძნელდებათ მათი გაძევება, ამიტომ ჩვენ რ ლი ვიქნებით მაშინ, არაფერი, ჩვენ გავხდებით გასაკიცხნი ჩვენის შვილის შვილების წინაშე.

რომ ჩვენ არ გავხდეთ ჩვენის შთამომავლობის წინაშე გასაკიცხნი და საძრახისნი, ამიტომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ეს მოტყუილებით შემოსული სტუმრები აქედამ უსათუოდ უნდა განვდევნოთ, თორემ მერე გვიან იქნება, ჩვენი შთამომავლობა მათს წინაშე ვერას გააწყობენ. ამიტომ მაშინ ჩვენც მათგან საუკუნო წყევლას დავიმსახურებთ.

ამ ქადაგებას ამბობდა ფილ. კიკნაძე ყველგან და ესევე ქადაგება მას უთქვამს 1832 წ. ალავერდის ეკლესიაში, ალავერდობა დღეს, რომელ ქადაგებაც თურმე დასწრებული იქმნა მთავრობის წინაშე და რაც გახდა მიზეზიც ფილ. კიკნაძის დაპატიმრების იმავე 1832 წ. თუ 1833 წ. გაზაფხულზედ.

ეს სიტყვა და ლექსი „ალხდეგით გმირთ-გმირნო" რომ ამ ფილ. კიკნაძის უნდა იყოს, ამას ამტკიცებს შემდეგი ლექსიც, რომელი ლექსიც ეკუთვნის ფილად. კიკნაძეს და რაც მოგვყავს აქ.

**საქართველო**

„საქართველომ სთქვა: მეც ვიყავ,
დრო მქონდა კეთილ მყოფელი...
ვადიდნე ჩემნი მოსავნი,
ვტანჯნი უარის მყოფელნი.

—

ვყვაოდი სამოთხის ბაღათ,
არ ვიყავ გასაყოფელი,
ვინც ახლა მნახოს, გასინჯოს,
რა ამაოა სოფელი.

ამ ლექსის პასუხი არის კიდევ იმავე ფილ. კიკნაძისაგან დაწერილი, აი ესეც:

„ნეტავი დროსა, რომელსა,
იყავ შენ აღშენებული?
აღვსილი მადლის წყაროთი
და კარგათ გაბრწყინვებული,
და ვინ არ გიტირის რა გნახოს,
აწ ასე გაოხრებული.

ნიკოლოზ ფირალოვი.

ეს ლექსები თურმე შუა მთის მონასტრის ერთ ოთახის კედლებზედ ყოფილა დაწერილები, რომელიც 1867 წ. ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორს ივანე კერესელიძეს უნახავს და იქიდამ გადმოუწერია. 1862 წ. ეს ლექსები მან „ცისკარში" დაბეჭდა, თან ეს შენიშვნაც გაუკეთა: „ეს ლექსები დაუწერია ერთ გამოჩენილს და შეგნებულ ქართველს".

კიკნაძეს თავის ნაწერი ლექსების მთელი ტომი ჰქონია. ამავე პირის შესახებ ივ. კერესელიძე აი რას სწერს: იმავ წლის [illegible] ქრისტაურში (კახეთი) კიკნაძე ერისთავის სახლში [illegible] ჰქონია სათი, ქართულის რიცხვებით და გავეუცდი.

არა მგონია, რომ ღრმათ განათლებულმა ევროპიელმა ისე ჩინებულათ გამართოს, ისე სწორეთ მოაწყოს, რომ იგი იყოს ამ მეხანიკისთანა, ესევე ბარი ყოფილა მოხერხე, არ არის ეჭვი, რომ მას ბევრი ლექსი დარჩენოდა, მაგრამ ვერსად გზით ვერსად ვიპოვეთ რამე, თუმცა ბევრი კი გამოვიკითხე ხალხში".

მართლაც ფ. კიკნაძეს პეტროგრადში ყოფნის დროს, მეხანიკურს სკოლებში უვლია და იქ პრაქტიკულად ბევრი რამ შეუსწავლია. ამავე ფ. კიკნაძეს კარგად სცოდნია ტელეგრაფის ოსტატობით მარცვალით თითების რაკუნით ლაპარაკი. ამის ოსტატობა მან თურმე ქართველებშიაც გაავრცელა.

ამას გარდა, ტეხნიკურის ცოდნით იგი ისე ყოფილა დახელოვნებული, რომ მან თურმე „ფარული საზოგადოების" წევრთათვის მოიგონა ახალი ქართული საიდუმლო ანბანი. „ფარული საზოგადოების" წევრნი ერთმანერთში მიწერმოწერის დროს, თურმე ამ ანბანს ხმარობდნენ, რომ მათი მინაწერი ცნობები არავის გაეგო და შეეტყო. ამ ფარული ანბანის ნიმუშები მე ვნახე 1880 წლებში, იგი ჰქონდა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს, ისტორიკოსმა მისი ქონებაც იცოდა კარგად.

ფ. კიკნაძეს ბევრი კიდევ სხვა ცოდნა ჰქონდა და ზოგი თავის ცოდნის ოსტატობანიც აწერილებიც ჰქონია, მაგრამ ყველა იგინი მოსპობილია იმ დროს, როცა იგი დააპატიმრეს და თვით მის თვალ წინ დასწვეს მისი ხელთნაწერი წიგნების ბარე 100 მეტი ხელთნაწერები, ასევე სხვების ნაწერებიც და ნიმუშურ იგანე ხელმძღვანელის ნაწერები, რომელთა რიცხვიც 70 წიგნი იყო, ხელთნაწერების. ეს ყველაფერი მაშინ გაქრა და მოისპო თურმე.

ამ მოსპობის მიზეზიც აი რა გახდა:

1832 წ. 9 დეკემბერს, საქართველოს შტაბის უფროს გენერალ ვოლხოვსკის, დაბეზღების ქაღალდი მისცა „ფარული საზოგადოების „წევრმა ევსეი ფალავანდოვმა. დამბეზღებელმა აი რა აცნობა გენერალს.

ტფილისში არსებობს ერთი წრე, სახელდობრ „ფარული საზოგადოება" რომლის დამთავრებულიც გახლავთ მასწავლებელი სოლ. დოდაშვილი და შუამთის მონასტრის ბერი ფილ. კიკნაძე ამათ სურვილი აქვსთ, რომ საქართველოდამ რუსები გარეკონ. ვისაც ვერ გარეკავენ, ისინი აქ უნდა ამოსწყვიტონ და მით საქართველო გაანთავისუფლონ რუსეთის სახელმწიფოსაგან, თვითონ უნდათ, რომ სპარსეთიდამ მეფე ერეკლეს შვილი ალექსანდრე მოიყვანონ და გამეფონ.

კიკნაძე ბერს მინდობილი აქვს თუშფშავ ხევსურების აჯანყება და ქართველი სამღვდელოების ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ კახეთში, კიკნაძე ბერმა ამისთვის ქადაგებებიც დაბეჭდა, რითაც მიმართავს იგი ხალხს აჯანყებისათვის, ეს ქადაგებები მას მონასტერში აქვს დამალული და იქიდამ ავრცელებს იგი ამ ქადაგებებს მთელს კახეთში და თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ეს ცნობაც კარგად ვსწორავთ მისი, რომ „აღსდგეთ გმირთ გმირნო" ამის დაწერილი უნდა იყოს.

გენერალმა ვოლხოვსკიმ ამ დაბეზღებას ყურადღება არ მიაქცია, რადგანაც ევსეი ფალავანდოვს იცნობდნენ, როგორც არა პატიოსან კაცით, იგი იყო ბოროტი, ხალხის მჩაგვრელი, ერთხელ რუსის მთავრობის შიშით კონსტანტინოპოლს იყო გაქცეული. იმავე ჭორებით მანვე დააბეზღა სამეგრელოს მთავარი დადიანი და სურდა, რომ მთავარი რუსის მთავრობას შეეძლებინა. სხვაც ბევრი უწყრანი საქმეები ჰქონდა ჩადენილი ამიტომ მისი დაბეზღება არა სჯეროდათ.

უკანასკნელ დაბეზღების დროს, მან ისე დააყენა საქმე, რომ მან დაბეზღებულების დაჭერის დროს, თავის დაჭერაც დაავალა გენერალს, რომ მე არავინ შემიტყოს, თორემ თუ შემიტყობს მაშინ მე მომკლავენო. მაშინ კი ვოლხოვსკიმ დაიჯერა ამის დაბეზღება, ეს ამბავი მან მალე საქართველოს მთავარმართებელს აცნობა და 10 დეკემბერს ყველა დაბეზღებულებსაც დაუწყეს დაპატიმრება. დააპატიმრეს ყველა დაბეზღებული პირები.

**ზაქ. ჭიჭინაძე.**

(დასასრული იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი



საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.